აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 6 | 13 აპრილი 2021 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (09-01-08/12, 01.04.2021)

გამარტივებული წესით განხილვა

დასახელება

ავტორი	ინიციატორი
უმაღლესი საბჭოს წევრები: დავით გაბაიძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი, მარინე გვიანიძე, დავით ბაციკაძე, ირაკლი ჩავლეიშვილი, ტიტე არაშიძე	უმაღლესი საბჭოს წევრები: დავით გაბაიძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი, მარინე გვიანიძე, დავით ბაციკაძე, ირაკლი ჩავლეიშვილი, ტიტე არაშიძე

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენის თარიღი	კომიტეტის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი	სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი
01.04.2021 წელი	წამყვანი კომიტეტი -26.04.2021 წელი	

კომიტეტები, რომელთა დასკვნები სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — დავით გაბაიძე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

02/04/2021
N 586

586-09-02-11-3-202104021553

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის
საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტის თაობაზე (09-01-08/12, 01.04.21 წ. ინიციატორი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: დავით გაბაიძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი, მარინე გვიანიძე, დავით ბაციკაძე, ირაკლი ჩავლეიშვილი და ტიტე არაშიძე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 86-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილული იქნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი.

განხილვის შედეგად, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნა:

„ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ბ[1]“ ქვეპუნქტის თანახმად: კანონპროექტს უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება: „ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება“ რაც წარმოდგენილ რეგლამენტის პროექტზე თანდართულ განმარტებით ბარათში არ არის ასახული.

წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის მიმართ სხვა შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ვაჟა ცეცხლაძე

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №37

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ გიორგი ბერიძეს

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 84-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოვადგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავ თხოვნით წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

გთხოვთ, რეგლამენტის პროექტს მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: -10- ფურცელი

პატივისცემით,

09-01-03/12.
1. 04 2021
11. ფურცელი

დავით გაბაიძე

ვლადიმერ მგალობლიშვილი

მარინე გვიანიძე

დავით ბაციკაძე

ირაკლი ჩავლეიშვილი

ტიტე არუშიძე

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

რეგლამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10.04.2019, სარეგისტრაციო კოდი: 010240080.51.056.016040) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-19 მულის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარის 19[1] მუხლი:

„მუხლი 19[1]. უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მომდევნო წლის სამოქმედო გეგმა

1. უმაღლსი საბჭოს თავმჯდომარე კოორდინაციას უწევს და ხელმძღვანელობს უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშისა და მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის მომზადებას. ანგარიში და სამოქმედო გეგმა ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

2. უმაღლესი საბჭო, როგორც წესი, საგაზაფხულო სესიის პირველი თვის მორიგ პლენარულ სხდომაზე ისმენს უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს და მომდევნო წლის სამოქმედო გეგმას, რომელსაც უმაღლეს საბჭოს წარუდგენს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

3. უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს და მომდევნო წლის სამოქმედო გეგმას უმაღლესი საბჭო პლენარულ სხდომაზე განიხილავს ერთობლივად, კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.“.

2. მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ[1]“ ქვეპუნქტი:

„დ[1]) საშემოდგომო სესიის დაწყებიდან არაუგვიანეს 1 კვირისა, უმაღლესი საბჭოს ბიუროს წარუდგენს წერილობით ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ, რომელიც ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე;“.

3. 78-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შედმეგი რედაქციით:

„1. უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომები, გარდა დახურული სხდომისა, საჯაროდ მიმდინარეობს, ასევე შესაძლებელია საჯარო სხდომის პირდაპირი ტელერადიოტრანსლაცია. საჯარო პლენარულ სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ დადგენილი წესით აკრედიტებულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და საზოგადოების წარმომადგენლებს.

2. უმაღლესი საბჭოს საჯარო სხდომა გადაიცემა ინტერნეტ-ტრანსლაციით.“.

4. 86-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„8. უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ კანონპროექტთან ან მის ცალკეულ მუხლებთან/პუნქტებთან დაკავშირებით საჯარო კონსულტაციების მიღების მიზნით ნებისმიერ პირს შეუძლია დააფიქსიროს თავისი მოსაზრება/შენიშვნა კომენტარის სახით.“.

5. 91-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ კანონპროექტთან ან მის ცალკეულ მუხლებთან/პუნქტებთან დაკავშირებით კანონპროექტის კომიტეტის სხდომაზე განხილვამდე დაფიქსირებული მოსაზრება/შენიშვნა წარედგინება წამყვანი კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელიც კანონპროექტის კომიტეტის სხდომაზე განხილვისას გააცნობს მას კომიტეტის წევრებს. თუ კომიტეტი ამ მოსაზრებას/შენიშვნას გაიზიარებს, იგი აისახება კომიტეტის დასკვნაში.

მუხლი 2

1. ეს რეგლამენტი, გარდა ამ რელამენტის პირველი მუხლის მე-4 პუნქტისა ამოქმედდეს ამოქვეყნებისთანავე.

2. ამ რეგლამენტის პირველი მუხლის მე-4 პუნქტი ამოქმედდეს 2021 წლის 1 ივნისიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ბათუმი,
2021 წლის
№

განმარტებითი ბარათი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ:

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი;

2020 წლის 14 აგვისტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიურომ №83 გადაწყვეტილებით დაამტკიცა უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ვალდებულებების განხორციელება გაზრდის საკანონმდებლო ორგანოს ანგარიშვალდებულებას, გამჭვირვალობას და ხელმისაწვდომობას საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის.

წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის მიღებია მიზეზია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების საკანონმდებლო დონეზე ასახვა, რომელიც ეხება შემდეგ საკითხებს:

1. საჯარო კონსულტაციები საკანონმდებლო პროცესში;
2. უმაღლესი საბჭოს სხდომების ინტერნეტ-ტრანსლაცია;
3. უმაღლესი საბჭოს და უმაღლესი საბჭოს წევრების ანგარიშვალდებულება ამომრჩევლების მიმართ.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი;

პროექტის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პირველი, მე-10 და მე-12 ვალდებულებების შესრულება და ამ გზით, კანონშემოქმედებით პროცესში სამოქალაქო ჩართულობისა და საკანონმდებლო ორგანოს ანგარიშვალდებულების გაზრდა.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის არსი;

პროექტის შესაბამისად, ცვლილება შედის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში. კერძოდ:

I. რეგლამენტს ემატება 19[1] მუხლი, რომლის თანახმად, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე კოორდინაციას უწევს და ხელმძღვანელობს უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშისა და მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის მომზადებას. ანგარიში და სამოქმედო გეგმა ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე. ამავე მუხლით, უმაღლესი საბჭო, როგორც წესი, საგაზაფხულო სესიის პირველი თვის მორიგ პლენარულ სხდომაზე ისმენს უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს და მომდევნო წლის სამოქმედო გეგმას, რომელსაც უმაღლეს საბჭოს წარუდგენს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს და მომდევნო წლის სამოქმედო გეგმას უმაღლესი საბჭო პლენარულ სხდომაზე განიხილავს ერთობლივად, კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

II. მე-9 მუხლის მე-3 პუნქტს ემატება „დ[1]“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებული იქნება საშემოდგომო სესიის დაწყებიდან არაუგვიანეს 1 კვირისა, უმაღლესი საბჭოს ბიუროს წარუდგენს წერილობით ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, რომელიც ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

III. 78-ე მუხლის პირველ პუნქტში შესატანი ცვლილებით ზუსტდება უმაღლესი საბჭოს ღია პლენარულ სხდომაზე დასწრების უფლების მქონე პირთა წრე, რომლის თანახმად, საჯარო პლენარულ სხდომაზე დასწრების უფლება ექნებათ დადგენილი წესით აკრედიტებულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და საზოგადოების წარმომადგენლებს.

ამავე მუხლის მე-2 პუნქტში შესატანი ცვლილებით დგინდება ვალდებულება, რომლის თანახმადაც უმაღლესი საბჭოს საჯარო სხდომა გადაიცემა ინტერნეტ-ტრანსლაციით.

IV. 86-ე მუხლს ემატება მე-8 პუნქტი, რომლითაც უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ კანონპროექტთან ან მის ცალკეულ მუხლებთან/პუნქტებთან დაკავშირებით საჯარო კონსულტაციების მიღების მიზნით ნებისმიერ პირს შეეძლება დააფიქსიროს თავისი მოსაზრება/შენიშვნა კომენტარის სახით.

V. 86-ე მუხლის შესატანი ცვლილებიდან გამომდინარე, 91-ე მუხლის მე-3 პუნქტით იმპერატიულად განისაზღვრება, რომ უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ კანონპროექტთან ან მის ცალკეულ მუხლებთან/პუნქტებთან დაკავშირებით კანონპროექტის კომიტეტის სხდომაზე განხილვამდე დაფიქსირებული მოსაზრება/შენიშვნა წარედგინება წამყვანი კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელიც კანონპროექტის კომიტეტის სხდომაზე განხილვისას გააცნობს მას კომიტეტის წევრებს. თუ კომიტეტი ამ მოსაზრებას/შენიშვნას გაიზიარებს, იგი აისახება კომიტეტის დასკვნაში.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

რეგლამენტის პროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

რეგლამენტის პროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება;

რეგლამენტის პროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ შედეგს იქონიებს იმ პირებზე, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

გ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში;

ასეთი არ არსებობს.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ;

ასეთი არ არსებობს.

დ) რეგლამენტის პროექტის ავტორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს წევრები: დავით გაბაიძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი, მარინე გვიანიძე, დავით ბაციკაძე, ირაკლი ჩავლეიშვილი, ტიტე არუშიძე.

ე) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: დავით გაბაიძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი, მარინე გვიანიძე, დავით ბაციკაძე, ირაკლი ჩავლეიშვილი, ტიტე არუშიძე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის იმ მუხლების მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი რეგლამენტის
პროექტით შედის ცვლილება

მუხლი 9. უმაღლესი საბჭოს წევრის ზოგადი უფლება-მოვალეობები

1. უმაღლესი საბჭოს წევრი არის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ძირითადი სუბიექტი, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს:

ა) უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე, კომიტეტში (კომიტეტის სამუშაო ჯგუფში), ფრაქციაში ან დროებით კომისიაში, რეგლამენტით განსაზღვრულ საბჭოში, რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა ჯგუფებში;

ბ) ამომრჩევლებთან შეხვედრებით, მათი მიღებით, მათ მიერ დასმულ საკითხებზე რეაგირებით;

გ) სახელმწიფო, ავტონომიურ, მუნიციპალურ და სხვა ორგანოებთან და დაწესებულებებთან კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობით.

2. უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს:

ა) რეგლამენტით დადგენილი წესით აირჩიოს ან არჩეულ ან წარდგენილ იქნეს უმაღლესი საბჭოს თანამდებობებზე, უმაღლესი საბჭოს კომიტეტის, დროებითი კომისიის შემადგენლობაში, გაერთიანდეს ფრაქციაში, გადადგეს თანამდებობიდან ან გავიდეს ამ ორგანოებიდან/ გაერთიანებებიდან;

ბ) ისარგებლოს ყველა იმ ინფორმაციით, რომელიც აუცილებელია მისი უფლებამოსილების განსახორციელებლად, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

გ) კონტროლის განხორციელებისას:

გ.ა) კითხვით მიმართოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, მთავრობის წევრს, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, მიიღოს და შეაფასოს პასუხი;

გ.ბ) შეუფერხებლად შევიდეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა; შეხვდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით განსაზღვრულ და სხვა თანამდებობის პირებს;

გ.გ) უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა მის მიერ დასმული საკითხების განხილვაში;

დ) უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე, რეგლამენტით დადგენილი წესით:

დ.ა) დასვას საკითხი განსახილველად; მის მიერ დასმულ საკითხზე ან შეკითხვაზე მომხსენებლის ან სხდომის თავმჯდომარის მიერ პასუხის გაუცემლობის შემთხვევაში გამოხატოს საკუთარი აზრი და დააზუსტოს შეკითხვა;

დ.ბ) წარადგინოს შენიშვნები და წინადადებები უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებულ ყველა საკითხზე;

დ.გ) მონაწილეობა მიიღოს კამათში, შეკითხვა დაუსვას მომხსენებელს, თანამომხსენებელსა და სხდომის თავმჯდომარეს, მიიღოს და შეაფასოს პასუხები;

დ.დ) გააცნოს უმაღლეს საბჭოს მოქალაქეთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე წერილები და მიმართვები;

დ.ე) კამათში მონაწილეობის მიუღებლობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარეს გადასცეს თავისი გამოსვლის ტექსტი, აგრეთვე წერილობით ჩამოყალიბებული შენიშვნები და წინადადებები უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განსახილველი საკითხების თაობაზე. გამოსვლის ტექსტი, წერილობით ჩამოყალიბებული შენიშვნები და წინადადებები უნდა დაერთოს სხდომის ოქმს;

დ.ვ) გამოთქვას აზრი უმაღლესი საბჭოს მიერ შესაქმნელი ორგანოების, მათი პერსონალური შემადგენლობისა და იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურების შესახებ, რომლებსაც ირჩევს, ამტკიცებს და რომელთა დანიშვნაზეც თანხმობას იძლევა უმაღლესი საბჭო;

ე) განახორციელოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, რეგლამენტითა და სხვა ნორმატიული აქტებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი;

ვ) გაეცნოს უმაღლესი საბჭოს სხდომის (სესიის), ბიუროს, დროებითი კომისიის აუდიო ჩანაწერს, ასევე კომიტეტის სხდომის აუდიოჩანაწერს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3. უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობა;

ბ) დაესწროს უმაღლესი საბჭოს პლენარულ, კომიტეტის, ფრაქციის, დროებითი კომისიის სხდომებს და მონაწილეობა მიიღოს მათ მუშაობაში;

გ) რეგლამენტით დადგენილი წესით უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე მონაწილეობა მიიღოს საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში;

დ) რეგლამენტით დადგენილი წესით შეხვდეს მოქალაქეებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით რეაგირება მოახდინოს მოქალაქეთა წერილებსა და განცხადებებზე;

ე) ხელი შეუწყოს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის, მათ შორის, რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვას, ხოლო მათი დარღვევის შემთხვევაში სათანადო რეაგირება მოსთხოვოს უმაღლეს საბჭოს, მის თავმჯდომარეს ან შესაბამის კომიტეტს;

ვ) პირადი ინტერესებისათვის არ გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ან/და მასთან დაკავშირებული შესაძლებლობა;

ზ) პირადი ინტერესებისათვის არ გამოიყენოს და არ გაამჟღავნოს სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში მიღებული ან შექმნილი ინფორმაცია;

თ) დაიცვას სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ქცევის სტანდარტები და უმაღლესი საბჭოს წევრისთვის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი ეთიკის ნორმები.

4. უმაღლესი საბჭოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა დაწესებულების თანამდებობის პირი ვალდებულია შეუფერხებლად მიიღოს უმაღლესი საბჭოს წევრი მისი მოთხოვნით.

5. უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით შეავსოს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო სამსახურის ბიუროს წარუდგინოს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი საჭიროების შემთხვევაში აანალიზებს სათანადო ორგანოების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას უმაღლესი საბჭოს წევრის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შესახებ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში საკითხს განსახილველად სვამს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე.

6. უმაღლესი საბჭოს წევრი, რომელიც არ არის გაერთიანებული ფრაქციაში, ითვლება უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ წევრად.

მუხლი 78. პლენარული სხდომა. პლენარული სხდომის ოქმი

1. უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომები, გარდა დახურული სხდომისა, საჯაროდ მიმდინარეობს, ასევე შესაძლებელია საჯარო სხდომის პირდაპირი ტელერადიოტრანსლაცია. საჯარო სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ დადგენილი წესით აკრედიტებულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებს.

2. უმაღლესი საბჭოს საჯარო სხდომა გადაიცემა პირდაპირი ვიდეოტრანსლაციით.

3. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს უფლება აქვს, პლენარულ სხდომაზე მოიწვიოს ხელისუფლების ორგანოებისა და საზოგადოების წარმომადგენლები და უცხოელი სტუმრები.

4. ისეთი საკითხების განხილვისას, რომლებიც საიდუმლოების დაცვას საჭიროებს, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სხვა წევრებს, კომიტეტსა და ფრაქციას შეუძლიათ დასვან უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის ან მისი ნაწილის დახურულად გამოცხადების საკითხი. გადაწყვეტილება სხდომის ან მისი ნაწილის დახურვის შესახებ განიხილება და მიიღება დახურული წესით. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.

5. დახურულ სხდომაზე დამსწრე პირთა წრეს განსაზღვრავს სხდომის თავმჯდომარე.

6. უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის თავმჯდომარე დამსწრეთ ჩაქუჩის ორი დარტყმით აცნობებს სხდომის დაწყებას, ხოლო სამი დარტყმით – სხდომის დამთავრებას. ყოველი სხვა პროცედურის დაწყება და დამთავრება ჩაქუჩის ერთი დარტყმით აღინიშნება. სხდომის თავმჯდომარეს სხდომათა დარბაზში წესრიგის დაცვაში ეხმარებიან უმაღლესი საბჭოს აპარატის წარმომადგენლები.

7. უმაღლესი საბჭოს სხდომაზე დგება სხდომის ოქმი. უმაღლესი საბჭოს დახურული სხდომის ოქმის გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ უმაღლესი საბჭოს წევრებს, მთავრობის უფლებამოსილ წარმომადგენელს, ასევე იმ ორგანოთა წარმომადგენლებს, რომლებიც მონაწილეობდნენ აღნიშნული სხდომის მუშაობაში.

მუხლი 86. კანონპროექტის განსახილველად მიღება და მომზადება საკომიტეტო მოსმენისთვის

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ მომზადებული და უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენილი კანონპროექტი მატერიალური დოკუმენტის სახით გადაეცემა უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისაწარმოების დეპარტამენტს, რომელიც აღრიცხავს და რეგისტრაციაში ატარებს მას.

2. საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ მომზადებული კანონპროექტის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის თარიღად მიიჩნევა მისი უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტში რეგისტრაციის თარიღი.

3. უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისაწარმოების დეპარტამენტის მიერ რეგლამენტის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლესი საბჭოს ბიუროსთვის გადაცემულ კანონპროექტს უნდა ერთოდეს უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვისა და საორგანიზაციო და საქმისაწარმოების დეპარტამენტების მიერ მომზადებული კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილების პროექტი, რომელშიც მითითებულია:

ა) კანონპროექტის დასახელება;

ბ) კანონპროექტის ინიციატორი;

გ) კანონპროექტის ავტორი;

დ) კანონპროექტის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის თარიღი;

ე) წამყვანი კომიტეტი;

ვ) კანონპროექტის კომიტეტის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი;

ზ) სხვა კომიტეტები, რომელთა დასკვნებიც უნდა ერთოდეს კანონპროექტს;

თ) კანონპროექტის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი.

4. უმაღლესი საბჭოს ბიურო იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ და ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ე"–„თ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საკითხების თაობაზე.

5. უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი ამოწმებს წარდგენილი კანონპროექტის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „გ"-„ე" ქვეპუნქტებთან და მე-2-მე-3 პუნქტებთან შესაბამისობას. თუ წარდგენილი კანონპროექტი არ შეესაბამება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ზემოაღნიშნული პუნქტების მოთხოვნებს, უმაღლესი საბჭოს ბიურო უფლებამოსილია უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მოტივირებული დასკვნის საფუძველზე კანონპროექტი ხარვეზის გამოსასწორებლად დაუბრუნოს მის ინიციატორს.

6. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მოითხოვს კანონპროექტის რიგგარეშე განხილვას, კანონპროექტის უმაღლეს საბჭოში განხილვის ვადებს განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს ბიურო და გადასცემს მას შესაბამის კომიტეტებს.

7. უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კანონპროექტი განსახილველად გადაეცემა კომიტეტებს, ფრაქციებს, უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ წევრებს, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს, აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, და განთავსდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

მუხლი 91. კომიტეტში კანონპროექტის განხილვის ზოგადი პროცედურები

1. უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, კომიტეტები, ფრაქციები, უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი წევრები, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი წამყვან კომიტეტს გადასცემენ თავიანთ შენიშვნებს კანონპროექტის თაობაზე. თუ აღნიშნული სუბიექტები მითითებულ ვადაში არ წარმოადგენენ შენიშვნებს კანონპროექტის თაობაზე, კანონპროექტი მათ მიერ მოწონებულად ჩაითვლება.

2. წამყვანი კომიტეტი უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 14 დღისა იწვევს კომიტეტის სხდომას. წამყვანი კომიტეტის სხდომა მოწვეული უნდა იქნეს მას შემდეგ, რაც უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ განსაზღვრული ის სუბიექტები, რომელთა დასკვნებიც უნდა ერთოდეს კანონპროექტს, ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში წამყვან კომიტეტს გადასცემენ თავიანთ შენიშვნებს კანონპროექტის თაობაზე.

3. უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ კანონპროექტთან ან მის ცალკეულ მუხლებთან/პუნქტებთან დაკავშირებით კანონპროექტის კომიტეტის სხდომაზე განხილვამდე დაფიქსირებული მოსაზრება/შენიშვნა წარედგინება წამყვანი კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, კანონპროექტის კომიტეტის სხდომაზე განხილვისას გააცნობს მას კომიტეტის წევრებს. თუ კომიტეტი ამ მოსაზრებას/შენიშვნას გაიზიარებს, იგი აისახება კომიტეტის დასკვნაში.

4. კომიტეტის სხდომაზე განხილვისას კანონპროექტის თაობაზე გამოთქმული შენიშვნა გათვალისწინებულად ითვლება, თუ მას დაეთანხმება მომხსენებელი, ან კენჭისყრის შედეგად გაიზიარებს კომიტეტი. იმისათვის, რომ შენიშვნა დადგეს კენჭისყრაზე, ის უნდა იყოს წარმოდგენილი ალტერნატიული წინადადების სახით ან ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

5. კომიტეტის სხდომაზე განხილვის შედეგად კანონპროექტი შეიძლება ცნობილ იქნეს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად, არასაკმარისად მომზადებულად ან მიუღებლად. კომიტეტის მიერ კანონპროექტის არასაკმარისად მომზადებულად ან მიუღებლად ცნობა არ აბრკოლებს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე მისი განხილვის დაწყებას. თუ ინიციატორი კომიტეტში კანონპროექტის I მოსმენით განხილვისთვის რეგლამენტით დადგენილ ვადებში არასაპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყოფს ინიციატივაზე მოხსენების კომიტეტის წინაშე წარდგენას, კანონპროექტი გათხოვილად ჩაითვლება. საპატიო მიზეზად ითვლება რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევები.

6. წამყვანი კომიტეტის დასკვნის გარეშე კანონპროექტის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე გატანა დაუშვებელია, გარდა ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. თუ უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ კანონპროექტის განხილვისათვის დადგენილ ვადაში წამყვანი კომიტეტი არ გამართავს სხდომას და არ გამოხატავს თავის პოზიციას კანონპროექტთან დაკავშირებით, კანონპროექტის ინიციატორი უფლებამოსილია მიმართოს წამყვან კომიტეტს მისი განხილვის მოთხოვნით ან უმაღლესი საბჭოს ბიუროს წინაშე დასვას წამყვანი კომიტეტის დასკვნის გარეშე კანონპროექტის უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეტანის საკითხი.

7. თუ ამ მუხლით დადგენილ ვადაში წამყვანი კომიტეტი ვერ ახერხებს კომიტეტის სხდომის გამართვას და დასკვნის წარდგენას, უმაღლესი საბჭოს ბიურო უფლებამოსილია კომიტეტის თავმჯდომარის წინადადების საფუძველზე განსაზღვროს კანონპროექტის საკომიტეტო განხილვის ახალი ვადა. თუ წამყვანი კომიტეტი ამ ვადაშიც არ გამართავს სხდომას და არ გამოხატავს თავის პოზიციას კანონპროექტთან დაკავშირებით, კანონპროექტის ინიციატორი უფლებამოსილია კვლავ მიმართოს წამყვან კომიტეტს მისი განხილვის მოთხოვნით ან უმაღლესი საბჭოს ბიუროს წინაშე დასვას წამყვანი კომიტეტის დასკვნის გარეშე კანონპროექტის უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეტანის საკითხი.

8. ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უმაღლესი საბჭოს ბიურო ვალდებულია კანონპროექტი შეიტანოს უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში. თუ კანონპროექტის ინიციატორი შესაბამისი სესიის განმავლობაში უმაღლესი საბჭოს ბიუროს წინაშე არ დასვამს მისი შემდგომი განხილვის საკითხს, იგი უმაღლესი საბჭოდან გათხოვილად ითვლება, რის შესახებ ინფორმაციას უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი აწვდის უმაღლესი საბჭოს ბიუროს.

9. წამყვანი კომიტეტის მიერ კანონპროექტის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება აისახება კომიტეტის დასკვნაში, რომელსაც ხელს აწერს კომიტეტის თავმჯდომარე.

10. წამყვანი კომიტეტის სხდომის გამართვის შემდეგ კანონპროექტი კომიტეტის თავმჯდომარის ხელმოწერით, წერილობითი ფორმით ეგზავნება უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტს უმაღლესი საბჭოს ბიუროს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში შესატანად. ამასთანავე, კანონპროექტის თითოეული გვერდი ვიზირებული უნდა იქნეს კომიტეტის აპარატის უფროსის მიერ.

11. უმაღლესი საბჭოს ბიუროსათვის წარდგენილ კანონპროექტს უნდა ერთოდეს წამყვანი კომიტეტის დასკვნა, ასევე სხვა კომიტეტების, ფრაქციების, უმაღლესი საბჭოს

დამოუკიდებელი წევრების, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტისა და სხვა უფლებამოსილი სუბიექტების დასკვნები და მათი შენიშვნების პროექტში გათვალისწინების მდგომარეობის ამსახველი ფურცელი (შემდგომში - შენიშვნების ფურცელი).